ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01170733013**

გაცემის თარიღი: **14.03.2017**

განმცხადებელი (დაინტერესებული) პირი
მიმღები: ალექსანდრე კვირკველია
პირადი ნომერი: 62001016420
მისამართი: მაზნიაშვილის 4

ბატონო ალექსანდრე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/0117060950-17 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 15-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 24.05.2016წ. N2612104 (AR1399228) ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, ,,ვარკეთილი-2"-ის ტერიტორიაზე/ქ. თბილისში, ,,ვარკეთილი-2"-ის I მ/რ ტერიტორიაზე (საკ. კოდი 01.19.36.014.629) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

ნაწილობრივ შეცვლილია იავნებზე მოწყობილი ვიტრაჟების ნახატი. სახურავზე დამატებით მოწყობილია ძაბტები.

,,დ-ა ფასადზე: გ-ბ მონაკვეთში +9,90 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფანჯარა.

,,8-1" ფასადზე : +2,70 ნიშნულის ზევით ნაწილობრივ შევსებულია სადარბაზოს ღიობები.

,,გეგმების მიხედვით" 2-3 და 6-7 მონაკვეთებში შეცვლილია კიბის კონფიგურაცია და სართულებზე შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. 1-1, 8-8 ღერძებში ბ-ა და ა-ბ მონაკვეთებში შემცირებულია მონოლითური კედლების სიმაღლე. გ-გ ღერძის გარეთ 2-1 მონაკვეთში ბლოკის კედლების ნაცვლად მოწყობილია მონოლითური კედლები. -3,30 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე. +9.90 ნიშნულზე კარ-ვიტრაჟებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. +9,90 ნიშნულზე ა-გ და გ-ა ფასადებზე, აივნებზე კაპიტალური კედლები არ არის ნახვენები გეგმის ნახაზებზე. +9.90 ნიშნულზე გ-გ ღერძზე გ-ა ფასადის მსარეს კაპიტალური კედლები არ არის ნახვენები გეგმის ნახაზზე.

დაძატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

KA980120091263216

№16/232705 **06 / სექტემბერი / 2016 წ.**

შპს ეპიკვარკუთილი. ალექსანდრე კვირკველი

საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის
რაიონი, მაზნიაშვილის ქ., №4, კომერციული
ფართი 2, სართული 1

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-6^2 მუხლის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილების შესაბამისად,

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25^1 მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილების დამტკიცებული დანართით განსაზღვრული წესით სამსახურისათვის განცხადებით მომართვის შემთხვევაში სამსახური აცხადებს თანხმობას განახორციელოს სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია შემდეგ სამშენებლო ობიექტზე:

შენობა–ნაგებობის მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი -სამგორი, (საკ. კოდი N01.19.36.014.629)

შენობა–ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

შენობა–ნაგებობის კლასი: მე-3

მომსახურების ფორმა: ერთჯერადი შემოწმება

მოსაკრებლის ოდენობა: 1500 ლარი

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773194

გადახდის დანიშნულება: სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მოსმსახურებას მოსაკრებელი.

მომსახურების ვადების გამოთვლის წესი

1. სამსახურის მიერ მომსახურების განხორციელებისთვის, განსაზღვრულ ვადებში არ იანგარიშება კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები.

2. ვადის ათვლა იწყება განცხადების სამსახურში რეგისტრაციის და თანხის სრულად გადახდის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღეს. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

3. განხორციელებული მომსახურების დროს, საქართველოს კანონის „ბროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" საფუძველზე გაცემული რეკომენდაციით განსაზღვრული ვადები გამოითვლება კალენდარული დღეებით.

4. სამსახურის მიერ მომსახურების განხორციელებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია წარმოადგინოს გადახდილი მოსაკრებლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც მომსახურება დანიშნულად ითვლება.

გადახდილი მოსაკრებლის დაბრუნების წესი და ზიანის ანაზღაურება

1. თუ მოსაკრებელი გადახდილია დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, მოსაკრებლის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხას და დადგენილ განაკვეთს შორის;

2. გადახდილი მოსაკრებელი მთლიანად ბრუნდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი განცხადების წარდგენამდე მოითხოვს თანხის უკან დაბრუნებას;

ბ) სამსახურმა უარი განაცხადა მომსახურების გაწევაზე

3. თუ დაინტერესებულ პირს სურვილი აქვს ისარგებლოს მომსახურების სხვა ფორმით, რომლისთვისაც გათვალისწინებულია მოსაკრებლის სხვა ნაკლები ოდენობა, მაშინ დაინტერესებულ პირს დაუბრუნდება სხვაობა ამ ორ მოსაკრებლის ოდენობას შორის. ასეთ შემთხვევაში, განცხადება სხვა ფორმით სარგებლობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს პირველადი განცხადების განხილვის ვადის დასასრულამდე.

4. თუ დაინტერესებულ პირს სურვილი აქვს ისარგებლოს მომსახურების სხვა ფორმით, რომლისთვისაც წესი გათვალისწინებულია მოსაკრებლის სხვა მეტი ოდენობა, მაშინ დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა ამ ორ მოსაკრებლის ოდენობას შორის. ასეთ შემთხვევაში, განცხადება და მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი/დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია სხვა ოდენობით სარგებლობის შესახებ წარდგენილი უნდა იქნეს პირველადი განცხადების განხილვის ვადის დასასრულამდე.

5. განმცხადებელს მომსახურებისთვის გადახდილი მოსაკრებელი უკან არ დაუბრუნდება თუ სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მოსახურების პროცესი შეწყდება ვადაზე ადრე:

ა) დამკვეთის მოთხოვნით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთმა რაიმე ფორმით თავად შეუშალა ხელი სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესს ან/და მის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს წარმომადგენელს;

გ) რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის პროცესი ერთის გარდა სხვა შემოწმებას არ ითვალისწინებს ან/და ადგილი აქვს მომსახურებით გათვალისწინებულ ბოლო შემოწმებაზე გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობას.

6. გადახდილი მოსაკრებლის ნაწილობრივ ან მთლიანად უკან დაბრუნება ან მისი გამოყენება იმავე ან სხვა მომსახურების ფორმისთვის ხორციელდება გადამხდელის განცხადების საფუძველზე, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან არა უგვიანეს 3 თვის განმავლობაში. მოსაკრებლის დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, განცხადებას თან უნდა ერთოდეს გადახდილი თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთება, თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და დასაბრუნებელი თანხის მისაღებად გამოყოფილი ანგარიშის ნომერი. 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის უკან დაბრუნების ან მისი სხვაგვარად გამოყენების შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

7. გადახდილი მოსაკრებლის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებასთან დაკავშირებული საბანკო მომსახურების ტარიფის გადახდა ეკისრება მოსაკრებლის გადამხდელს.

ზედამხედველობის სააქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეკაძე

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
13.05.2016	13.05.2016

განხილვის საგანი :	ქონების გამოყენებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს "ეპიკ ვარკეთილი" 404506833
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1402257
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1402257

დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნა და მიეცეს თანხმობა გამოიყენოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – საკადასტრო კოდით: 01.19.36.014.394, კონსოლის და აღნიშნული უძრავი ქონების და 01.19.36.014.629 საკადასტრო ერთეულის მიჯნის ზონაში ღიობების და აივნების მოწყობის მიზნით, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

საფუძველი:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება